ოქმი N 1

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტვიშის თემის სოფელ ქორენიშის მოსახლეობის კრების ოქმი

25.01.2023 წელი

კრებას ესწრებოდნენ სოფელ ქორენიშის მოსახლეობა 22 მონაწილის შემადგენლიობით. კრებას ასევე ესწრებოდნენ: ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის უფროსი გ.ხმელიძე და ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტები ბ.კოპალიანი და ლ.ბახსოლიანი.

კრების თავჯდომარე: გ.ხმელიძე

მდივანი: ი.მიქაუტაძე

კრების დღის წესრიგი:

ტვიშის თემის სოფელ ქორენიშის ტერიტორიაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების 1813,00 კვ.მ (ს/კ 89.15,23,279) 1125.00 კვ.მ (ს/კ 89.15,23,277) 1385.00 კვ.მ (ს/კ 89.15,23,276 ელ.აუქციონის ფორმით გასხვისების თაობაზე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის უფროსი გ.ხმელიძე

მომხსენებელმა კრების მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო გეგმავს სოფელ ქორენიშის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 3(სამი) ნაკვეთის პრივატიზებას რისთვისაც საჭიროა სოფლის მოსახლეობის თანხმობა.

აზრი გამოთქვეს: მ.ქობულაძემ, გ.ლიპარტელიანმა, ზ.გოდოლაძემ. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე მოსახლეობას არ აქვთ პრეტენზია, რადგან ამ მიწის ნაკვეთებს არ იყენებენ სოფლის საჭიროებისათვის. აქედან გამომდინარე, მოსახლეობა თანახმა არის მისცეს თანხმობა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მოახდინოს ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთების პრივატიზება ელექტრონული აუქციონის ფორმით.

დაადგინეს: მიეცეს თანხმობა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოახდინოს სოფელ ქორენიშში მდებარე 3 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზება ელექტრონული აუქციონის ფორმით.

კრების მონაწილეთა ხელმოწერები თანხმობის მიცემის შესახებ ოქმს თან ერთვის.

კრების თავჯდომარე: გ.ხმელიძე

მდივანი: ი.მიქაუტაძე